

ღია ბანკინგი, გამოწვევები და შესაძლებლობები საქართველოში

ალექსანდრე ბატონისაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის (საბანკო და საფინანსო საქმეში) აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

საბანკო და საფინანსო საქმე

სამეცნიერო ხელმძღვანელი : მაია მელიქიძე, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ალექსანდრე ბატონისაშვილი

03.07.2022

აბსტრაქტი

თანამედროვე ციფრულ სამყაროში ყოველდღიურად ხდება სხვადასხვა ციფრული პროდუქტების დანერგვა თუ შემუშავება. მსოფლიოში მიმდინარე დიჯიტალიზაციის პროცესის პარალელურად საბანკო საფინანსო სექტორი ავითარებს ისეთ მნიშვნელოვან ტექნოლოგიურ ინოვაციას, რომელიც მომხმარებელს მაქსიმალურად გაუმარტივებს ცხოვრებას. ასეთია ღია ბანკინგი, რომლის იდეასაც წარმოადგენს მომხმარებლის თანხმობის საფუძველზე ინფორმაციის შეგროვება და მესამე მხარეებისთვის გადაცემა, სანაცვლოდ უნიკალური სერვისების შეთავაზება. ღია ბანკინგი არის რეგულაცია, რომელიც უსაფრთხო და გამჭვირვალე ეკოსისტემას ქმნის. წინამდებარე ნაშრომში დასმულია ძირითადი საკვლევი თემა, მის იგვლივ არსებული საკვლევი კითხვები, რომელთაც პასუხები კვლევის პროცესში ეტაპობრივად გაეცა. შესავალშივე არის დასაბუთებული თემის აქტუალურობა და თანამედროვე ციფრული სამყაროს განვითარებასთან მისი პირდაპირი კავშირი. ლიტერატურის მიმოხილვის ფარგლებში განხილულ იქნა სხვადასხვა აკადემიური თუ სამეცნიერო წყაროები, როგორცაა პუბლიკაციები, ნაშრომები, სტატიები, კომპანიების წლიური ანგარიშები და სხვადასხვა ქვეყნების მაგალითებზე დაყრდნობით შემუშავებული კვლევები. კვლევის მეთოდოლოგიად განისაზღვრა შერეული ტიპის მეთოდი, რაც გულისხმობს, როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევის მეთოდის ჩატარებას. რაოდენობრივი კვლევის მეთოდით ონლაინ გამოიკითხა 100 რესპონდენტი, თვისებრივი კვლევის მეთოდისთვის კი შეირჩა დარგის ექსპერტებთან სიღრმისეული ინტერვიუები, კერძოდ 4 რესპონდენტი, თითოეული მათგანი წარმოადგენდა ღია ბანკინგის პროექტში მონაწილე ორგანიზაციას.

რაოდენობრივი კვლევის შედეგებით გამოვლინდა საზოგადოების მზაობა ღია ბანკინგში ჩართულის მიმართ, აგრეთვე, ჩამოყალიბდა ის ძირითადი საფრთხეები, რაც მათი აზრით, ღია ბანკინგის პროცესს თან ახლავს. გამოკითხულთა უმეტესობა ისურვებდა, ამგვარი ტექნოლოგიური სიახლეებისთვის გარკვეული ცოდნის მიღებასაც.

თვისებრივი კვლევის შედეგებში თითოეულმა ორგანიზაციამ შეაჯამა ღია ბანკინგის განვითარების გზა, აგრეთვე, ჩამოაყალიბა მომხმარებლის უკუკავშირიდან მიღებული ძირითადი პრობლემები და დასახა სამომავლო გეგმები.

ნაშრომის მიზანი გახლავთ საკვლევი თემის მიმართ ცნობიერების ამაღლება, მოსახლეობის დამოკიდებულების დადგენა ღია ბანკინგის მიმართ, შესაძლო საფრთხეების და უპირატესობების გამოვლენა. ამ ყოველივეზე ამომწურავი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია აღნიშნულ ნაშრომში.

საძიებო სიტყვები: ღია ბანკინგი, ფინტექ კომპანია, მონაცემთა ბაზა, მომხმარებლის გამოცდილება, ღია ფინანსები, რეგულაცია, ავტენტიფიკაცია.

Abstract

In the modern digital world, various digital products are introduced or developed every day. In parallel with the ongoing digitalization process in the world, the banking and financial sector is developing such an important technological innovation that will simplify the life of the customer as much as possible. Such is open banking, the idea of which is to collect information based on the user's consent and transfer it to third parties, in exchange for offering unique services. Open banking is a regulation that creates a safe and secure ecosystem. In the present work, the main research topic, the research questions surrounding it, the answers to which were given step by step in the research process, are posed. The relevance of the topic and its direct connection with the development of the modern digital world are justified in the introduction. As part of the literature review, various academic or scientific sources were considered, such as publications, papers, articles, annual reports of companies and studies developed based on the examples of different countries. The research methodology was defined as a mixed method, which means conducting both quantitative and qualitative research methods. 100 respondents were interviewed online using the quantitative research method, and in-depth interviews with industry experts were selected for the qualitative research method, namely 4 respondents, each of them represented an organization participating in the Open Banking project.

The results of the quantitative research revealed the public's readiness to participate in open banking, and also established the main threats that, in their opinion, accompany the process of open banking. Most of the respondents would like to get some knowledge for such technological innovations. In the results of the qualitative research, each organization summarized the development path of open banking, as well as formulated the main problems obtained from customer feedback and set future plans.

The aim of the paper is to raise awareness of the research topic, to determine the population's attitude towards open banking, to reveal possible threats and advantages. Comprehensive information on all this can be found in the mentioned paper.

Key Words: Open banking, fintech, database, user experience, open finance, regulation, authentication.